პროექტი

განკარგულება N__

ა.ა.ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს“-თვის (ს/კ - 441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მრავალფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთველის (მოდელი JCB 3 CX14M2WM სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი - AA527C; გამოშვებს წელი - 2015 წ.) სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლი მე-2 პუნქტის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ა.ა.ი.პ. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს“-თვის (ს/კ - 441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მრავალფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთველის (მოდელი JCB 3 CX14M2WM სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი - AA527C; გამოშვებს წელი - 2015 წ.) სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: მალხაზ ჩხიკვაძე

დ ა ს კ ვ ნ ა

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლი მე-2 პუნქტთან და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“- 22-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლითაც განსაზღვრულია, რომ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით აუქციონის გარეშე გადასცემს, სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 100%–იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს“.

პროექტის ავტორი: მალხაზ ჩხიკვაძე